F 262 N556

ყოველდღიური პირველი. ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 2 ივნისი 1915 წ. № 8

# საქართველო

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76,

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., საერთოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე,) და ელირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევამდე ღირს 7 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა (5 მან.) „საქართველო“ გაეგზავნებათ **მხოლოდ** პირველ მკათათვემდე. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს“ მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.


## სახალხო სახლი

**პარასკევს, 15 ივნისს 1915 წ.**

**ნ. ჩვეიძის, ი. ზარდალიშვილის** და **ა. იმედაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

## ლეკის ქალი გულჯავარ

ისტორიული დრამა 3 მოქმ. ა. ცაგარლისა

II

## ვაი ყოგოს

ფარსი 1 მოქ.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე**

ადგილების ფასი 1 მ.—20 კ. 10 კ-მდე. 4—1

## სეზონი

**სამ** ივნისისთვის განზრახული

**ს. ფაფალიშვილის**

## სალამო გადაიდო

## „ახალი კლუბის“ გამასახლის. საბჭო

აცხადებს, რომ 1 ივლისისათვის დანიშნული კლუბის გადასელა საზაფხულო შენობაში **არ მოხდება მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის, ფლიგელ-ადიუტანტის თ-დ კონსტანტინე ალექსანდრეს ძის ბაგრატიონ მუხრან-ბატონის დაკრძალვის გამო.**

კლუბის საზაფხულო შენობაში გადასელის დღე ცალკე გამოცხადდება.

## ირ. ევდოშვილის

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსანს გადაეცემა.

„საქართველოს“ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა.

—უ—

## გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებელისას. აგრედვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში ვისაც განმოორებითი გამოცდა ექმნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. **მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. (10—უ—1)

**კბილის ექიმი ქალი**

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

**თიბათვის შუა რიცხვებიდან ღვინობისთვის ნახევრამდე**

ქირავდება **ერთი ან ორი**

## ოთახი

შეიძლება მოწყობილობით. ფასანაურის ქუჩა № 11. 3—3

**დოქტორი მედიცინისა**

**მოსე ანთიმოსის მე**

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კაღეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან** და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—6 საათამდე, კვირა დღის გარდა. ოლღას ქუჩა, სახლი მელიქ-აზარიანცისა

**ძ. გ ო ლ შ ი**

## ექიმი ნ. მ. კლიმია შვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან


## ხელმწიფე ერი

ხელმწიფე ერი ბევრად ბედნიერია.

უზრუნველყოფილი აქვს ეროვნების თავი და თავი ნიშნები. არ სჭირდება ბრძოლა ენისთვის: მისი ენა ბატონი ენაა, შეუზღუდველი; არ სჭირდება ბრძოლა ეროვნული სკოლის შემოსაღებად. მისი სკოლა, მდგომარეობის ძალით, თავის თავადაც ეროვნულია; არც ტერიტორიის აჭრელებისა ეშინია. ტერიტორიის ბატონი თითონაა, თავს ვერ უმტრობს და ვერც გადამთიელს ჩამოისახლებს. არც სამართლისა და ეკლესიისათვის მართებს მას ბრძოლა: ერთიცა და მეორეც, სწორედ მდგომარეობის ძალით, ეროვნულია. მოკლეთ, ერის სუვერენობა, სიცხადეა ყველა ეროვნული თვისების თავისუფალი სიცოცხლისა. ხელმწიფე ერი ეროვნულად უფლება—განმტკიცებულია. ეს ნიშნავს რომ მისი მიწა, სამართალი, ეკლესია, სკოლა აბსოლიუტურად თავისთავადია. ერთი ნამცეცი ენერგია რა არის, ისიც არ ეკარგება იმისათვის, რომ თავი ერად აწამებინოს ვისმე. ასეთი ერის ერთად ერთი საზრუნავი ისაა, რომ თავისი თავი სულიერად გააშინაარსიანოს, ყველა ეროვნული ატრიბუტი გაიფაქიზოს და აამაღლოს. მთელი ენერგია ერის დამარხულ ნიჭებულებათა გაფურჩქვნას ეწირება მხოლოდ.

ხელმწიფე ერის ყოველი მოქმედება წარმატების საქმეს ხმარდება მხოლოდ. სულსხვა ნაირია არა-ხელმწიფე ერის საქმე. მისი ენა დევნილია, უფლება ახდილი. ბრძოლა სჭირია. რომ იგი შეინარჩუნოს. მისი სკოლა ანტიეროვნულია. აქაც ბრძოლა სჭირია, რომ სწავლა-აღზრდა ეროვნული ჰქონდეს. მართებს თვისი ტერიტორიის დაცვა უცხოთა შემოსევისაგან. ამისთვის კიდევ ბრძოლა სჭირიათ. რომ ეკლესიასა და სამართალს ეროვნული სახე მიეცეს, კიდევ ბრძოლასა და იარაღს უნდა მიმართოს. მოკლეთ, ეროვნული უსუვერენობა—სიცხადეა ყველა ეროვნული ნიშანდობლივი თვისების ნაძალადევი სიკვდილისა.

არა-ხელმწიფე ერი უფლება აყრილია ეროვნულად და მთელი მისი ენერგია იხარჯება იმ დედა-ხაზების დასაცავად, რომელთა ჯამი ჰქმნის ეროვნულ სახეს. ასეთ ყოფაში შეუძლებელია ზრუნვა ეროვნული ატრიბუტების გაფაქიზება-ამაღლებაზედ, არამედ მთელი ენერგია უნდა მოხმარდეს ამ ატრიბუტების პირველ ყოფილ სახეობის დაცვას; თავი და თავი საქმე ის არის, რომ ერი არ განქრეს როგორც ერი. ეროვნული წარმატების შესახებ მისთვის ფიქრიც-კი აღკრძალულია: მთელი ნებისყოფა თვით არსებობის შენარჩუნებას უნდა შეალიოს. ამის შემდეგ გასაკვირი არაა, თუ დამოკიდებულ ქვეყნის ერებში ეროვნული წარმატების საქმე ჩამორჩება. ჩვენს პლანეტაზე აღმოცენებულ გონებას და შექმნილ ლოღიკას წინააღმდეგი გააკვირვებდა და არა ეს.

ამგვარად განსხვავება ცხადია ხელმწიფე და არა-ხელმწიფე ერებ შორის. პირველის ყოველი მოქმედება-სვლაა წარმატებისაკენ; მეორის ყოველი მოქმედება—ერთ ადგილზე დგომაა. ან უკეთ, პირველს წინსვლა ევალება თვით სიცოცხლის შინაგანი ძალით, მეორე-კი იძულებულია, უკეთეს შემთხვევაში, ერთ ადგილზე შეჩერდეს. საიდანაც პირველი იწყებს თავის ძალღონის ამუშავებას, სწორედ იქ ელება ბოლო მეორე ერის ამოქმედებულ ენერგიას.

ნათქვამს აბსოლუტური ხასიათი არა აქვს. მის აბსოლუტობას მეტ-ნაკლებათ არღვევს იმ ცოცხალ ძალთა ურთიერთობა, რომლებიც დაბანდულია დაპირისპირებულ ერებ შორის. მოვაქციოთ ეს ერები ერთი სახელმწიფოს ფარგალში, ერთი გავაბატონოთ მეორეზედ, რადგანაც წარმოუდგენელია ერი თავის თავისად სცხოვრობდეს და სუვერენობას მოკლებული იყოს. ჩვენ დავინახავთ, მაშინ რომ ხელმწიფე ერის სატკივარი და საზრუნავი ურთია, რომ სულ სხვაა არა-ხელმწიფე ერის სატკივარი და საზრუნავი. მისწრაფება ვერ ექნებათ ერთი და იგივე, ვერც მოქმედების მეთოდი და იარაღი. ეს ძირითადი განსხვავება თვალწინ უნდა გვედგას, ცოცხალი და ხორცშესხმული. ამ განსხვავების გაგება,—ეროვნული იდეის საღი შემეცნებაა. ამიტომაც ამ განსხვავების თვალსაზრისით უნდა გავაშუქოთ ყოველი საქმე დიდი თუ პატარა და ყოველი ახალი გადადგმული ნაბიჯი, რომლის მიზანი იქნება რომელიმე ეროვნული ატრიბუტის დაცვა და განმტკიცება.

ს. კ—დია.

## ქართული პრესა.

„სახალხო ფურცლის“ კვირის ნომერში დაბეჭდილია ი. გედევანიშვილის წერილი „სხვათა შორის“, რომელიც მიმართულია დღევანდელ ქართველ ჯგუფთა ძმურ შეერთების წინააღმდეგ. ვბეჭდავთ უკანასკნელ ნაწილს ამ მართლაც „სხვათა შორის“ დაწერილ წერილისას:

კარგა ხანია ჩვენში ლაპარაკობენ ნაციონალურ-ლიბერალურ პარტიის დაარსების შესახებ. მართლადაც უსათუოდ საჭიროა საზოგადოების შემადგენელ ამა თუ იმ ელემენტის ჩამოყალიბება, გამორკვევა. მაგრამ ეს ბუნებრივად მაშინ ხდება, როდესაც თვით ელემენტი ამისათვის საკმაოდ მომწიფებული და მომზადებულია. თვით ამავე ელემენტში უნდა მოხდეს ძალთა კონცენტრაცია, საკუთარი ინტერესების შეგნება, რასაც უსათუოდ შესაფერი თვით ორგანიზაცია მოჰყვება და გარკვეული პოლიტიკური სახე მიეცემა. მხოლოდ ეს პროცესი თვით ამავე ელემენტში უნდა ხდებოდეს, და ახდება კიდეც, თუ კი დავკვირდებით ჩვენს ცხოვრებას. რამდენად უფრო ხურგს იმაგრებს ჩვენი ეროვნული ბურჟუაზია, ჩვენი ვაჭარ-მრეწველობა, იმდენად უფრო ნათლად ემჩნევა მას ცენტრალიზაციის, ორგანიზაციის საჭიროება მათთვის უფრო ცხადი ხდება. იმის მაგიერ, რომ პარტიის დაარსების მქადაგებელთ ამ ბუნებრივ პროცესისათვის ხელი შეეწყოთ და იგი დაეჩქარებინათ, სულ სხვა გზით, და მასთან მეტად მრუდე გზით მოუარეს ამ საქმეს. **რამდენიმე იმედ დაკარგულმა მოხელემ და უსაქმო ინტელიგენტმა, რომელთაც ზემოდ მოხსენებულ ელემენტებთან საერთო არაფერი აქვთ, განიზრახეს ასეთი პარტიის დაარსება, ასე ვსთქვათ, „ზევიდან“.** რაგასაკვირველია, რომ მათი ცდა უნაყოფოდ ჩაივლის და შეკავშირება-შეთანხმების მაგიერ უფრო მეტი დაქსაქსულობა და პოლიტიკური გამოურკვევლობა დაიბადება.

ასეთი მოქმედება და ცდა უფრო პოლიტიკურ ავანტიურის სახეს ღებულობს. ვიწრო პირადი თავმოყვარეობა და მხოლოდ სახელის მოხვეჭის ცდა, ნამდვილ საზოგადო მოღვაწის პიროვნებას ვერ შეჰქმნის და, მით უმეტეს, პოლიტიკურ პარტიას ვერ დაჰბადებს. **მღვრიე წყალში ხელების თათუნი, ვითომდა მის დასაწმენდად, ნამდვილად კი გემრიელ თევზის დასაჭერად, წყალს უფრო აამღვრევს და საზოგადო ცხოვრებაში ავანტიურიზმს გაამეფებს. — როდესაც მოგვიწოდებენ შეკავშირება-შეთანხმებისათვის, უველამ ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ.**

ნეტა რას ნიშნავს ეს ნართაული ნაწერი და ასეთ „მარგალიტ სიტყვების“ უდრო-უდროოდ და უადრესოდ ხარჯვა?

## თბილისი, 2 ივნისი.

**დავრაზმღეთ!**

როგორც რუსეთიდან მოსულმა დეპეშებმა გადმოგვცეს, მოსკოვში არეულობა დაწყობილა. ბრბო მუშებთან ერთად ეჯჭრევია უცხო ელემენტების მაღაზიებს, სახლებს, დაუწყია ძარცვა-გლეჯა, აწიოკება, ერთი სიტყვით ყოველივე ის, რასაც რუსულ ენაზე ლიტერატურულად „პოგრომს“ უწოდებენ. „პოგრომის“ მასწტაბი ფრიად დიდი ყოფილა, რაიც თუნდ იქიდანა სჩანს, რომ ადგილობრივი ქალაქის საბჭო ჩელნოკოვის თავმჯდომარეობით ღამის პირველ საათზე ახდენს სწრაფ კრებას, რათა საშინელ მოვლენისათვის რაიმე წამალი გამოენახათ. მაგრამ ჩვენ აქ სრულებით არ გვაინტერესებს მთელი სურათის გადმოცემა, თუ ქალაქის თავი რა მიზეზებს ასხელებს ამ მოძრაობის გამომწვეველად, არც იმას ვკითხულობთ, თუ „გერმანელთა შურის ძიების“ იქით ბრბოს სხვა რამე მიზეზი ჰქონდა კიდევ ასეთ „პოგრომების“ დასაწყებად. არა, ფაქტი ის არის, რომ „საზიზღარ მოვლენას“ შიგ რუსეთის გულში ჰქონდა ადგილი: მოსკოვი, რომელიც გულია მთელი რუსეთისა, ყველაზე საღი უნდა იყოს, მტკიცე. აი, სწორედ ეს გვაშინებს, ვაი თუ მოვლენა მარტო ადგილობრივ მოვლენად არ დარჩეს და პარაზიტ ბაციელებმა წინდაუხედავი საქციელით ფრთა გაჰკრან სხვა და სხვა ქალაქში. განა რომ ათასჯერ მართალია ჩელნოკოვი, როდესაც ამ მოვლენას სამარცხვინოდ სთვლის და მტრის გამხარებელ ამბად? აი, სწორედ აქეთკენ უნდა იქმნეს ჩვენი ყურადღებაც მიპყრობილი. მართალია, ისტორიულად ჩვენი ერი არა სჩვევია „პოგრომებს“, ისიც მართალია, რომ ქართველი ერი, როგორც რაინდი, მუდამ უცხოთა შემწყნარებელი და მასპინძელი ყოფილა, მაგრამ ვინ იცის, დრომ რა არ მოიტანოს. ნუღარ დავმალავთ: ახლოვდება ჟამი საზოგადო სასწორკვეთილებისა. შიმშილობის სტიქიონი ნელ-ნელა, მაგრამ ბეჯით ნაბიჯით საგრძნობლად უჭერს მას უხებს ჩვენის ქვეყნის მხარეებს. შიმშილობის დრტვინვა მოისმის გურიიდან, შიმშილობას სჩივის სამეგრელო, შიმშილობის მოლოდინში სცახცახებს იმერეთი და ამერეთიც ამ ავდარ-სეტყვით დაზარალებული დედაბერთა ანაბარად მიტოვებულ დასათეს ველ-მინდორით ულმობლად მოსთქვამს. მაგრამ ვინ რა იცის-მეთქი, რომ ეს ხმა, ეს ყრუ კვნესა და დრტვინვა ხვალ სტიქიურ სახეს არ მიიღებს და უმწეო ერს არა თუ უცხო ელემენტების დასარბევად, თვით საკუთარ ხორცის საწიწკნელადაც კი არ აამხედრებს და გაახელებს!

ჩვენ არ ვამბობთ, დიდგნოზი სწორედ იყოს დასმული, არ ვამბობთ, სწორედ ამ ნიადაგზე შესაძლო იქოს ამხედრება, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ დღევანდელი მომენტი აუცილებლად გამოიწვევს ეროვნულ უბედურობის მრავალფერ სახეს, და აი, სწორედ ამისი შეგნება, ამისი გათვალისწინება გვიკარნახებს ფრთხილად მოვიქცეთ, შევერთდეთ, ერთად გავიდეთ, შეთანხმებული მუშაობით დავსჯაბნოთ ყოველგვარი მოსალოდნელი ჭირი. არსად, არა, დროს ჭართველ ერს არ ჰსჭირებია გონებისა და ძალთა მობილიზაცია, როგორც დღეს. გრანდიოზული პასუხისმგებლობა, რაიც დღევანდელ მომენტს წაუყენებია ჩვენს წინ თვის ცეცხლის მფრქვეველი [illegible] ზმის სისაღეზე და ჩვენს სულიერს სიმტკიცეზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოისპოს ჩვენში პარტიული ჟინიანობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯგუფობას მოეღოს ბოლო, რომ უსახელო მუშაობას და კაბინეთში გენერლობას დაედოს საზღვარი. მივიდეთ ერთიერთმანეთთან, გავიდეთ ხალხში, ვინახულოთ პირის-პირი იგი, მივხედოთ მის წყლულს, მის იარებს, მის წუხილს, ცრემლებს; ნუ იქნება მოწუვეტილი დაბა სოფლიდან, სოფელი კიდევ დაბიდან, ორივე კი ქალაქის მოძრავ სულთან და ურთიერთადმი ნდობით, ურთერთის დახმარებით განხილულ იქმნეს და კონკრეტულ ფორმაში ჩამოყალიბდეს არა თუ ყოველ მოთხოვნილებათა სახე, არამედ მათი საწამლი საშვალებანიც კი. დაე, ქართველმა იცნოს ქართველი, ნუ ეთაკილება ეროვნულ კეთილდღეობის დროშა, რომლის ქვეშ თავმოყრილს ვერავითარი სტიქიონი ვერ შეგვაშინებს.

მაშ ვისმინოთ მდგომარეობის კარნახი და მისი სუვერენული ბრძანება:

დავრაზმდეთ და ვეცადნოთ, რომ მოსკოვისებურმა სტიქიურმა ტალღამ ჩვენც არ წაგვლეკოს.

## ოს ღღიური

## მიმოხილვა

რამდენიმე დღის წინათ ვწერდით, რომ მოსალოდნელია ბრძოლის გაცხოველება მთელ ფრონტზე. დღევანდელ და გუშინდელ დეპეშებში უკვე არის ნიშნები იმისი, რომ ბრძოლის ალი მთელ აღმოსავლეთ ხაზს მოედო, ბალტიის ზღვიდან რუმინიის საზღვრამდე. ამ ერთი კვირის წინად მეტად მედგარი ბრძოლა იყო მხოლოდ გალიციაში, ე. ი. მთელი ხაზის მხოლოდ ერთ წვერზე, მერე იგი მოედო წვერსაც, ეხლა-კი ბრძოლაში ჩაერივნენ ბუგო-ნარევისა და ვისლის ხაზებზე დაწყობილი ჯარებიც. გალიციაში ბრძოლის სიმკაცრემ ოდნავ იკლო, სამაგიეროდ მან მედგარი ხასიათი მიიღო ლიბავა-კოვნოს რკინის გზის გაყოლებაზე, მდინარე ვინდავისა, დუბისისა და ვენტის ხეობებში. გერმანელებმა იერიშები დაიწყეს მარიამპოლის აღმოსავლეთით, მდინარე ომულევის ხეობაში, პრასნიშის ჩრდილოეთით, მლავას მიმართულებით და ვისლას ორივე მხარეს. ზოგან ბრძოლაში ჯერ მცირე ძალა ჩარე-

# ფასები და ვალუტის ოპერაციები ბანკებში

(წარსული, აწმყო და მომავალი*)

II

**ბანკირთა ვალუტის ოპერაციების ისტორიული ნარკვევი.**

**ფულის ფუნქციები.**

„ხოლო, თუ ვამბობ ფასების ფულის (ვალუტის) ისტორიულ ნარკვევზე, — ვგულისხმობ: მოვალეობით ვალდებულებას, ვაჭრობით ფულის ფუნქციებზე და ეკონომიურ ურთიერთობაზე ადამიანებს შორის, რომელიც ფულით წარმოებული ვაჭრობის შედეგად წარმოიშვა“(=„Hiberam potertatem sequendi religionem, quam quisque volluisset“). ვაჭრობა ხომ ფულით წარმოებული ვაჭრობის ტოლფასია: ფულის ფუნქციები ერთმანეთის ტოლფასია.[1] ხოლო ფულის ფუნქციები ისტორიულად ვითარდებოდა ნელ-ნელა და ეკონომიკური ურთიერთობის ზრდასთან ერთად.

ღამის განმავლობაში და მეორე დღესაც მან ორ დივიზიამდე შემდგარ ძალების საშუალებით იერიში მოიტანა ჩვენს წინა პოზიციებზე. ბრძოლა გრძელდება.

გალიციაში 30 მაისს მტერს დილიდან დაწყებული უშედეგოდ მოჰქონდა იერიშები ქვემო ლიუბაჩევკის ჩვენს პოზიციებზე. მოსკისკოს რაიონში გერმანელები დიდად დაზარალდნენ და 29 და 30 მაისს ველარ ჰბედავდნენ თავდასხმას. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე მიკოლაევის გზით სროლა სწარმოებს. ჟურავნოსთან რუსთა გამარჯვებისა გამო გერმანელებმა შესწყვიტეს გალიჩის პოზიციის იერიშები და 29 მაისიდან აქ თავის მოქმედებას საზღვრავენ მძიმე არტილერიის ცეცხლით. საღამოს რუსთა ცხენოსანმა ჯარმა ქ. ხალეშჩიკის მახლობლად მოხდენილი იერიში მიიტანა დნესტრსე გარდამავალ მტრის ნაწილზე. ამ შეტაკების დროს მათ ხელთ ჩაუვარდათ 200-მდე ტყვე. ხოლო 500 კაცამდე აჰკუწეს.

**რომი**, 31 მაისი. ოფიციალური ცნობა 30 მაისისა. მტრის ორ ჰაეროპლანიდან ყუმბარები ჩამოაგდეს ქ. ბარში, აგრედვე პოლიანიანოში. მოკვდა ქალი და დაიჭრა ბავშვი. მონოპოლში მსუბუქად დაიჭრა ერთი ქალი.

მეორე ოფიციალური ცნობის მიხედვით ტრენტინოს რაიონში იტალიელები გარდამწყვეტად მიიწევენ წინ და უკვე შესძლეს გაესწორებინათ სტრატეგიული უხერხულობა 1866 წელს გავლებულ საზღვრისა. მთაში დაიჭირეს ტრენტინის მწვერვალის ხეობა. კარნიის რაიონში ალპის მსროლელები მხნედ იგერიებენ მტრის კონტრ-იერიშებს და დაიპყრეს მნიშვნელოვანი გასასვლელები. აღმოსავლეთით ფრიულის მიდამოებში მტერს თანდათან უახლოვდებიან. ოფიციალური ცნობა თავდება გაფრთხილებით, რომ ომის მთის გასასვლელებში წარმოების დროს მრავალ დაბრკოლებათა შეხვედრაა მოსალოდნელი, მაგრამ ხალხის ნდობით აღჭურვილი ჯარი აღსავსეა გაბედულებით, რომ დასძლევს როგორც ბუნებრივ დაბრკოლებათ, ისე მტრის წინააღმდეგობასაც.

---

რომლითაც იგინი ფაქტიურათ უკვე 610 წლიდან სარგებლობდნენ. როგორც ანტიოქიური წყაროებიდან ვტყობილობთ, თეოფილაქტემ შეიწყნარა ქართველების სათხოვარი: შეჰყარა კრება „მთავარ-ეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა“, აკურთხა კათალიკოზად იოანე და „მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს გახსნითი, რათა თვით მათისა საზღვრისა ეპისკოპოსთაგან ხელნი დაესხმადინ ჟამად-ჟამადსა კათალიკოსსა ქართლისასა, რომელიცა საღმრთომან მადლმან უჩვენოსთ მათ და რომელი გამოირჩიონ მოყვასთა მის ეკლესიათა, თანადგომითა და წამებითა ეპისკოპოსთათა, წესთაებრ საეკლესიოთა“, [1]) ანუ, როგორც ერთი გუჯარი განმარტებს, „აკურთხევდენ კათალიკოსსა, რომელიცა სთნდეს მეფესა და ერსა“. [2]) მაგრამ ამასთან ერთათ პატრიარქმა ქართველებს დაუდო პირობად: ა) რომ ქართლის კათალიკოსმა ღვთისმსახურების დროს უსათუოთ მოიხსენიოს ხოლმე ანტიოქიის პატრიარქის სახელი (ეს იყო ნიშანი დამოკიდებულებისა), ბ) ანტიოქიის პატრიარქს აქვს უფლება გამოაგზავნოს საქართველოში თავისი წარმომადგენელი ანუ ექსარხოსი, როცა აქ მწვალებლობა რამ გამოჩნდება, გ) წმ. მირონი ქართველებმა კვლავ ანტიოქიიდან უნდა მიიღონ და დ) მირონის ნივთიერებათა სასყიდლად უნდა აძლიონ ანტიოქიის პატრიარქს ათასი დრაჰკანი“. [3])

---

[1]) ე. თაყაიშვილი—ახალი ვარიანტი..., გვ. XLVI—VII; შად. ნიკონ მთაწმიდელის წერილი (=„Правосл. Палест. Сборн.“, вып. 16, стр. 47).

[2]) თ. ჟორდანია—ქრონიკები, წ. I, გვ. 77 თბილისი 1892 წ.

[3]) ე. თაყაიშვილი—ახალი ვარიანტი..., გვ. XLVIII=„Правосл. Пал. Сборн., вып. 16, ст. 47-48.

# ახალი ამბავი

**◆ ანდერძი თ-დ კ. მუხრან-ბატონისა.** სანდო წყაროებიდგან გაომოგვცეს, რომ განსვენებულ კ. ა. მუხრან-ბატონს ბრძოლის ველზედ წასვლის წინ უანდერძებია თვისი მეუღლისთვის მათ უმაღლესობის კნეინა ტატიანა კონსტანტინეს ასულისთვის: თუ მოკლული ვიქმნები, დამკრძალე სვეტიცხოვლის ტაძარში და ჩვენი შვილები ეროვნულ ნიადაგზედ აღზარდეო...

**◆ ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წევრთა წლიური კრება.** კრება გაიხსნა გ. გ. მაღალაშვილის თავმჯდომარეობით, 31 მაისს, დილის 12 ს. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა აკაკისა, ვ. გელოვანისა, ნ. ლომოურისა, ლ. კ. ზუბალაშვილისა, ნ. ი. საგინაშვილის, ნ. რ. ერისთვის, ე. დ. ქობულაშვილის, თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის და ბრძოლის ველზე გადაცვლილ საზოგადოების წევრთა ხსოვნას. შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა სია წლევანდელ კრების განსახილველ საგნებისა: 1) საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1914 წ.; 2) გიმნაზიის მოსამსახურეთა ახალი შტატი; 3) ხარჯთაღრიცხვა 1515 წ.; 4) პედაგოგიური და სამეურნეო კითხვები: ა) ქართულ ენაზე სწავლის შემოღება, ბ) ქალთა სკოლის ტიპი, გ) დირექტორის პენსია, დ) საზოგადოების წესდების მეოთხე მუხლის შეცვლა; 5) საპენსიო კასა; 6) გამგე კომიტეტისა და სამზრუნველოს წევრთა არჩევა.—შემდეგი კრება იქნება მომავალ კვირას, 7 ივნისს, დილის 12 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში.

მათ უმაღლესობას ჰსურს მცხეთაში გაატაროს ექვსი კვირა, ორმოცის წირვამდის, თუ ხელს შეუწყობს ჯანმრთელობა, რადგან კუნთების ავადმყოფობა აუვარდა. დროებით ბინა სამეფო ვაგონში აქვს მცხეთის სადგურზედ.

**◆ ყალბი ღვინის გავრცელების წინააღმდეგ.** 1914 წლის 24 აპრილს გამოცემულ კანონის განსახორციელებლად იმის შესახებ, რომ ყალბი ღვინის კეთება და გავრცელება სასტიკად იყვეს აკრძალული, თბილისის გუბერნიის მეევნახეობისა და მეღვინეობის კომიტეტმა თბილისის გუბერნია გაჰყო შვიდ რაიონად: თელავისა და სიღნაღის მაზრები, ზაქათალის ოლქი და თიანეთის მაზრის ორი სოფელი—ახმეტა და მატანი—წარმოადგენს ერ რაიონს; დუშეთის მაზრა და თბილისის მაზრის ერთი ნაწილი—თბილისის ზემოთ მცხეთამდე—შეადგენს ერთ რაიონს; გორის მაზრა ერთს; თბილისის მაზრა, გარდა ერთი ნაწილისა, რომელიც დუშეთის რაიონში შედის, ბორჩალოს მაზრა და იორის ხეობა ერთს; ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები ერთს და ქალაქი თბილისი ორს—მტკვრის მარჯვენა მხარე და მარცხენა. თითოეულ რაიონში კომიტეტი დანიშნავს ოვაისს აგენტს—სპეციალისტს, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ყალბი ღვინო არ კეთდებოდეს და არ ვრცელდებოდეს.

**◆ სტუდენტების კრება.** კვირას, 31 მაისს, „ახალი კლუბის“ დარბაზში, ირაკლი ამირეჯიბის თავმჯდომარეობით შესდგა ქართველ სტუდენტთა კრება, რომელსაც მსჯელობა ჰქონდა ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა დახმარების შესახებ. კრებამ დაადგინა ფულების შესავროვებლად გამართონ ლექციების კითხვა. გამოსცენ წაგნები, შეისწავლონ აჭარლების აწმყო და წარსული და წიგნაკებად დაბეჭდონ და სხ. ყოველივე ამის მოსაწესრიგებლად არჩეულ იქნა კომისია, რომელიც უნდა ეცადოს იმოქმედოს დამოუკიდებლად, ხოლო თუ ეს არ მოეწონდება, შეიძლეს სექციად რომელიმე არსებულ საქველმოქმედო საზოგადოებაში. კომისიის წევრებად არჩეულნი არიან: კ. ე. კასრაძე, ირ. ამირეჯიბი, ი. ანთაძე, ვერა ვარაზაშვილი, ვ. კოტეტაშვილი და ქ-ნი ასამბაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: ილ. ბაკურაძე, გ. მელითაური და ქ-ნი გაბაშვილი.

**◆ ბანკის თავმჯდომარის არჩევა.** ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ აქმნა რაჟდენ დათეშიძე.

**◆ სახალხო სახლი.** პარასკევს, 5 ივნისს, **ნ. ჩხეიძის, ი. ზარდალიშვილის, ა. იმედაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „**ლეკის ქალი გულჯავარ**“ და ფარსი „**ეი ყობოს**“. გულჯავარის როლს შეასრულებს ნ. ჩხეიძე, ლევანისას ა. იმედაშვილი, რამაზს ი. ზარდალიშვილი.

**◆ მოკლული და დაჭრილი რაზმელები თბილისის ქართულ რაზმისა** (28 თებერვლიდან დღემდის).

მოკლული: ქვეითი რაზმელი—**პეტრე სულაძე.**

დაჭრილნი: ცხენოსანთა ასეულისა—**ჭელიძე ერმოლოზ** (მარჯვენა ყურში); **მამაგულაშვილი ნიკოლოზ** (გულის ფიცარში); **ოსიტაშვილი დიმიტრი** (მსუბუქად თავში); **შავბექაიძე როსტომი** (მსუბუქად თავში); **მესხიშვილი იაკინთე** (მსუბუქად თავში).

ქვეითა ასეულებისა: **ჩიკვილაძე ხვთისო** (მარცხენა გულის ფიცარში); **ტუხარელი ნიკოლოზ** (მარცხენა თეძოში); **ცინცაძე იულიანი** (მარცხენა ხელში); **აბრამიძე ილია** (მარცხენა თეძოში); **გოგნიაშვილი იოსებ** (ფაშვებში); **ბერიშვილი შაქრო** (მარცხენა ფეხში); **ბოჭოლაშვილი გიორგი** (მსუბუქად მხარში); **ციხისავი ლონგინოზ** (მსუბუქად მარჯვენა ხელში).

ტყვედ წაყვანილნი არიან: **ინასარიძე კოტე** და **პანჯავიძე ტარასი.**

დაჭრილები—**ჭელიძე, ოსიტაშვილი, შავბექაიძე, მესხიშვილი, ტუხარელი, ცინცაძე, ბოჭოლაშვილი** და **ციხისთავი** მოკეთდნენ და განაგრძობენ სამსახურს. დანარჩენები ლაზარეთებში იმყოფებიან.

**◆ მოკლულ-დაჭრილნი.** მოკლულ არიან პორუჩიკი თავ. ვაჩნაძე ალექსანდრე მიხეილის ძე და პოდპორუჩიკი მაღალაშვილი კონსტანტინე არჩილის ძე, დაჭრილია პორუჩიკი ბებურიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე.

# სამი მცნება

დედა ენა, ეროვნული ეკლესია და და ეროვნული ტერიტორია,—აი დღევანდელი სამი მცნება ყოველ ქართველისა, რომელმაც იგი გულში ჩახუტული უნდა ატაროს.

ყოველ ქართველს უნდა ახსოვდეს, რომ ეს სამი მცნება უძვირფასესი განძია, გადმოცემული ჩვ. მშვენიერ, ათასწლოვან ისტორიის მიერ, რომელიც ცეცხლით, მახვილითა და სისხლით არის დაწერილი.

ქართველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ეს განძი ის სამი ბურჯია, რომელზედაც აღორძინდება მომავალი ძლიერი საქართველო.

გარეშე ამისა არ არსებობს არც ერთი ერი და ამ კანონს ვერც ქართველი ერი გადაურჩება.

„გახსოვდეს და არ დაივიწყო!“—

ასეთი სიტყვით ჩვენ მივმართავდით ქართველ კაცს ამ ათიოდე წლის წინად, როდესაც იგი ამ მცნებათა გარეშე ეძებდა ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას.

მაგრამ დღეს ასეთი მიმართვა საჭირო აღარ არის.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ „მწვალებლობა“ საქართველოს ეკლესიაში თითქმის სრულებით არ ყოფილა, აღმოჩნდება, რომ მერვე საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება ანტიოქიის პატრიარქზე ფაქტიურად გამოიხატებოდა მხოლოდ: ა) კათალიკოზების მიერ ანტიოქიის პატრიარქის სახელის ხსენება და ბ) ანტიოქიიდან წმ. მირონის ძიღებაში, რის სასყიდლადაც ქართველები ყოველწლივ იხდიდნენ ათას-ათას „დრაჰკანსა“. კათალიკოზ-მღვდელმთავართა არჩევა-ხელდასხმაში და ეკლესიის შინაგან მართვა-გამგეობაში ანტიოქიის პატრიარქი ფაქტიურათ სრულებით არ ერეოდა. ამიტომ ბუნებრივი და ადვილასახსნელია ის ფაქტი, რომელსაც, მაგ.. წმ. გრიგოლ ხანძთელის († 861 წ.) „ცხოვრებაში“ ვკითხულობთ შესახებ არსენ კათალიკოზის საქართველოშივე არჩევისა და ხელდასხმისა. როგორც იმავე „ცხოვრებიდან“ ვტყობილობთ, ქართველებს 843—859 წლებს შორის უფლება მიულიათ, წმ. მირონიც ადგილობრივ ეკურთხებინათ.[1]) ამასთანავე უნდა ამოკვეთილიყო, მაშასადამე, ათას-ათასი წლოვან ისტორიის მიერ, რომელიც ცეცხლით, მახვილითა და სისხლით არის დაწერილი.

---

[1]) Н. Марръ—„Георій Мерчулъ. Житіе св. Григорія Хондзтійскаго“. Спб. 1911 г., введеніе § 21, стр. XXV.

[2]) ნიკონ მთაწმიდელის წერილი წერილი=Правосл. Полест. Сборн., вып. 16, стр. 48.

განვლილმა ათმა წელმა ნათელ ჰყო ქართველი ერის უკუღმართი ცხოვრება. დღევანდელმა მსოფლიო ბრძოლის ქარიშხალმა კვლავ წამოაყენა ძლიერი ეტნიურ-ეროვნული პრინციპი. და ვინც ამ სამს მცნების შინაარსით მდიდარია, ვინც ამ მცნებანს ემორჩილება და ცხოვრებაში რეალურად ანხორციელებს, ის ქვეყანა ცოცხალია, მისი ერიც უკვდავია.

ქართული ენა—ენა რუსთველისა, წერეთლისა, ჭავჭავაძისა, ვაჟა-ფშაველასი—ეს ხომ პანთეონია ქართველ ერის მორალურ სიმდიდრისა!

ქართული ეკლესია,—ბოდბე, სიონი, სვეტი-ცხოველი, გელათი, ბაგრატი და სხვათა მრავალი—ეს ხომ პანთეონია ქართველთა ხალხის სულიერ სიდიადესი!

საქართველოს მიწა წყალი, რომელიც აძლევს სიცოცხლეს ვაზს, ფორთოხალს, ჩაის ბუჩქს, ზეთისხილს, თამბაქოს, ბამბას, აბრეშუმის ჭიას, საუცხოო ჯიშის ხეხილს, ძვირფასს ტყეს, მიწა წყალი, რომლის გულის სიღრმეში დიადი სიმდიდრენი იმალებიან—ეს ხომ პანთეონია ერის ჭეშმარიტ სიმდიდრისა!

მორალურ-რელიგიური და გონებრივ-ქონებრივი სიმდიდრე,—აი ის რაც მედგარ ბურჯად უდგას დღევანდელ საქართველოს.

მაგრამ მრავალ მიზეზთა გამო ზემოხსენებულ ბურტებს თვალსაჩინო დახიანება ეტყობა და გამაგრებას საჭიროებს.

და მათ შეკეთება-გამაგრებას ერთობილ დღესვე უნდა შევუდგეთ, თორემ შესაძლოა დღევანდელმა საშინელმა მსოფლიო მღელვარებამ ის, რაც საუკუნოდ გვებარა, საუკუნოდვე წაგვილეკოს.

**ეკალი.**

## თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ყლიური კრება

30 მაისს კრება გაიხსნა საღამოს 9 საათ. და 20 წუთზე. წინანდელ სხდომის ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ თავ. მ. ა. სუმბათაშვილმა მოახსენა კრებას, რომ ჩვენი გადაწყვეტილება საგუბერნიო არჩევნების გადადების შესახებ ნამესტნიკმა შეიწყნარაო, აგრედვე კრებას მოუახსენა თავმჯდომარემ, რომ გენ. ყაზბეგმა უარი განაცხადა იმ კომისიის წევრობაზე, რომელსაც დავალებული აქვს მარშლებისათვის გადასადებ თანხის რაოდენობის შემუშავება და მის მაგიერ სხვა აირჩიეთო. კრებამ რამდენიმე კანდიდატი დაასახელა, მაგრამ ყველამ უარი განაცხადა, მხოლოდ თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილმა ისურვა კომისიის წევრობა.

შემდეგ უნდა შესდგომოდნენ ხარჯთაღრიცხვის განხილვის გაგრძელებას, მაგრამ თავ. დ. ა. გურამიშვილმა იკითხა, 10 პრ. გადარიცხვის შესახებ რას გვეუბნებითო. თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ამის შესახებ უთუოდ საგანგებო კრებას მოხსენებდაო. რამდენიმე წუთით კრება შესწყდა. კრების განახლებისას ისევ შეუდგნენ ხარჯთ-აღრიცხვის კითხვას, მაგრამ თავ. ვ. ვაჩნაძემ განაცხადა, როგორ მივიღოთ ესა თუ ის მუხლი ხარჯთ-აღრიცხვისა, სანამ კომისია არ წარმოგვიდგენს მოხსენებას 10 პროც.-ს გადარიცხვის შესახებო. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ დაავალა კომისიის წევრს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს დაიჩქაროს კომისიის წევრების მოწვევა და ბანკის გამგეობასთან ერთად დროზედ განიხილონ აღძრული საკითხი.

შეუდგნენ ხარჯთაღრიცხვის განხილვას. მარშლებისა და დეპუტატებისათვის ნავარაუდევი 5,000 მან. მოულოდნელ ხარჯების დასაფარავად და 3.600 მან. ექვსი მაზრის მარშლების კანცელარიათა შესანახად კრებამ მიიღო პირობით, სანამ არჩეული კომისია ამ ხარჯების შესახებ თავის მოხსენებას წარმოადგენდეს. აგრედვე პირობით იქმნა მიღებული საადგილ-მამულო კომისიისათვის ნავარაუდევი 66.485 მან., ვიდრე კომისია არ წარმოადგენს მოხსენებას 10 %-ს გადარიცხვის შესახებ სათადარიგო თანხაში. გასულ წელს საადგილ-მამულო კომისიისათვის იყო გადადებული 67.124 მან. დანარჩენი მუხლები ხარჯთაღრიცხვისა უცვლელად მიიღო კრებამ. მხოლოდ კახეთის რკინის გზის გამო გასაწევ ხარჯის (2.000 მან.) განხილვის დროს თავ. დ. ვ. იკითხა, როდის ჩაგვაბარებენ ამ გზასო. ამის შესახებ თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა განაცხადა, რომ, როგორც გავიგე, 15 მაისს კრება ჰქონიათ აქციონერებს და დაუდგენიათ, სთხოვონ მინერებს და დაუდგენიათ, სთხოვონ მინისტრს ნება დართოს 1.700.000 მან. დამატებითი საობლიგაციო სესხის აღებისა და აგრედვე გზის ჩაბარების ვადა 17 ივლისიდან 15 ნოემბრამდე გადასდოსო. მაგრამ, მე გიკვირს—განაგრძო თავ. ჩოლოყაშვილმა—რომ მინისტრი ძალას ატანს მათ გზა ჩაბაროს თავად-აზნაურობას ვადაზე, ე. ი. 17 ივლისს და ამ რიგად ამ ხანგრძლივ ჩვენ გავხდებით პატრონ-ბატონები გზისაო. რ. გაბაშვილმა სურვილი გამოსთქვა თავადაზნაურობა მზად იყოს რკინის გზის ჩაბარებისათვის. შემდეგ თავ. დ. ჯორჯაძემ, მ. ჭავჭავაძემ, დ. ვაჩნაძემ, დ. ფავლენიშვილმა და სხ. განაცხადეს, რომ საადგილ-მამულო თანხა, ცხადია, რაიმე %-ს იძლევა და ეს %% წლიურ ანგარიშში უნდა იყვეს ნაჩვენებიო. აზრის გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია ხსენებული %%-ს განაწილებამ. მ. ვ. მაჩაბელი, თავ. მ. ჭავჭავაძე, ა. ყანჩელი და სხვ. ამტკიცებდნენ, რომ %% საადგილ-მამულო თანხასვე უნდა მიემატოსო. თავ. დ. ვ. ვაჩნაძე, ი. ლ. ჩერქეზიშვილი, რ. გაბაშვილი, შ. ქარუმიძე და სხ. იმ აზრისანი იყვნენ, რომ %%-ს ნახევარი მიემატოს საადგილ-მამულო თანხას, ხოლო მეორე ნახევარი-კი საწარმოებელ თანხის საადგილ-მამულო კომისიის საჭიროებათა დასაკმაყოფილებად გადაიდოსო. კენჭის ყრით შეწყვეტილ იქნა უკანასკნელთა წინადადება.—კრება გადიდო 1 ივნისის საღამოს 8 საათისათვის.

## თ-დ კონსტანტინე ალექსანდრეს ძის მუხრან-ბატონის დაკრძალვა.

გუშინ, 31 მაისს 9-ნახევარ საათზე, საგანგებო მატარებელი დაიძრა თბილისიდან, საიდანაც გაემგზავრა მცხეთას მრავალი ხალხი და დეპუტაციები თ-დ კ. ა. მუხრან-ბატონის დაკრძალვაზე დასასწრებლაც მცხეთაში უკვე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი.

დილის 10 საათზე წირვა დაწყო სვეტიცხოვლის ტაძარში საქართველოს ექსარხოსის არხიეპისკოპოსის პიტირიმის თაოსნობით, ეპისკოპოსთა ანტონისა და ლეონტის მონაწილეობით და უმაღლეს თბილისის და მცხეთის სამღვდელოების თანამწირველობით. გალობდა ექსარხოსის მგალობელთა გუნდი. წირვა და პანაშვიდი შესრულებულ იქმნა ქართულ და რუსულ ენაზე. წირვას აუარებელი ხალხი დაესწრო, ძველი უზარ-მაზარი სვეტიცხოვლის ტაძრი და მისი გალავანი მთლად გაჭედილი იყო ხალხით. დამსწრეთა შორის განსვენებული თავადის პატივსაცემლად ბრძანდებოდნენ მათი უმაღლესობა თავადი იოანე კონსტანტინეს ძე, გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისა, კავკასიის ჯართა მთავარ-სარდლის თანაშემწე გ. ლ. ვოლსკი, ვიცე გუბერნატორი უმაღლესი კარის კამერგერი პანოვი და მეფის მოადგილის საბჭოს წევრები, გენერალიტეტი, მანდილოსნები, თბილისის თავად-აზნაურთა მთელი კრებული, ქუთაისის თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი თ-დი გელოვანის, წერეთლის და მაჩაბლის მეთაურობით, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, მუსულმანთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, მუსულმანთა სასულიერო წოდების წარმომადგენლები, ხელოსანთა და ვაჭართა წარმომადგენელნი, გორის და დუშეთის მაზრების და სოფლების წარმომადგენელნი და სხვანი. ცხედარს სატატიო დარაჯებად ედგნენ წმ. გიორგის ჯვრით დაჯილდოვებული ჯარისკაცები.

კუბო შემკული იყო მრავალი გვირგვინით, მათ შორის 7 ვერცხლისა იყო სხვა და სხვა დაწესებულებისაგან. შუადღის ორ საათზე პანაშვიდის გადახდის შემდეგ ჯარმა სცა სათანადო დაწესებული პატივი და კუბო ჩასვენებულ იქმნა სამარეში, რომელიც ტაძრის შუა ადგილას იყო დამზადებული. ტაძარში წარმოსთქვეს სიტყვები ეპისკოპოსმა ანტონიმ და თბილისის გუბერნიის მარშლის თანაშემწემ თ-დ ა. სუმბათაშვილმა, ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა, ქუთაისის თავად-აზნაურობის წარმომადგენელმა თ-დმა გელოვანმა, მუსულმანთა წარმომადგენელმა და ნ. ლ. თარხნიშვილმა.

სიტყვა წარმოთქმას ბევრსა ჰსურდა, მაგრამ რადგან მათი უმაღლესობა კნეინა ტატიანა კონსტანტინეს ასული მეტად მოიღალა, ამიტომ შეზღუდულ იყო ორატორთა სია და დრო განსაზღვრული იყო 3 წუთით.

დაკრძალვის შემდეგ საგანგებოდ დამზადებულ ავტომობილებით და ეტლებით სტუმრები მიაცილეს მცხეთის სადგურზე, სადაც ქელეხი იყო მომზადებული დეპუტაციებისთვის, საპატიო პირთათვის და მახლობლებისთვის, სულ 600 კაცისთვის, 5000 გლეხკაცისთვის კი მომზადებული იყო ფანჩატურებში თვით ტაძრის გალავანში. მათ უმაღლესობას სამეფო ვაგონში წარუღგნენ

# ДЕСЯТЬ ЗАПОВЕДЕЙ ЧИТАТЕЛЯ ГАЗЕТЫ!

**Помогайте газете!**

1. Газета — ваш друг и помощник. Выписывайте газету на весь год, не ленитесь, не откладывайте.
2. Читайте газету внимательно, не пропускайте ни одной статьи, ни одной заметки.
3. Обсуждайте статьи газеты на собраниях, в школе, в кружках, в семье.
4. Пишите в газету о том, что вас волнует, что вы видите вокруг себя.
5. Не ждите напоминаний, присылайте заметки в газету сами.
6. Не бойтесь критиковать недостатки, но критикуйте по-деловому, не ругайтесь.
7. Не ограничивайтесь одной критикой, предлагайте, как исправить недостатки.
8. Не забывайте, что газета — ваша, что она принадлежит вам.
9. Помните, что газета — ваш учитель, ваш воспитатель, ваш помощник.
10. Помните, что газета — ваш товарищ, ваш друг, ваш советчик.

**Помогайте газете!**

## ОБЪЯВЛЕНИЯ

**Открыта подписка на 1-е полугодие 1933 года на газету „Ударник“ — орган Ивановского райкома ВКП(б) и райисполкома.**

Подписная цена: на 1 месяц — 1 р. 50 к., на 3 месяца — 4 р. 50 к., на 6 месяцев — 9 р.

Адрес редакции: г. Иваново, ул. Ленина, № 7. Телефон № 712.

Подписка принимается в конторе газеты, а также у всех уполномоченных по подписке.

**Подписывайтесь на „Ударник“!**

**Открыта подписка на 1-е полугодие 1933 года на газету „Ударник“ — орган Ивановского райкома ВКП(б) и райисполкома.**

Подписная цена: на 1 месяц — 1 р. 50 к., на 3 месяца — 4 р. 50 к., на 6 месяцев — 9 р.

Адрес редакции: г. Иваново, ул. Ленина, № 7. Телефон № 712.

Подписка принимается в конторе газеты, а также у всех уполномоченных по подписке.

**Подписывайтесь на „Ударник“!**

# „Ударник“

(Орган Ивановского райкома ВКП(б) и райисполкома)

Выходит 8 раз в месяц, 6 раз в декаду. Цена отдельного номера 5 коп. Подписная цена: на 1 месяц — 1 р. 50 к., на 3 месяца — 4 р. 50 к., на 6 месяцев — 9 р.

Адрес редакции: г. Иваново, ул. Ленина, № 7. Телефон № 712.

Типография газеты „Ударник“, Иваново, ул. Ленина, № 7. Заказ 1. Тираж 17-03.

# Ударник

Орган Ивановского райкома ВКП(б) и райисполкома

Издается с 1 января 1931 года

Иваново, 9 января 1933 г. № 8 (712)

## ОБЪЯВЛЕНИЯ

**Открыта подписка на 1-е полугодие 1933 года на газету „Ударник“ — орган Ивановского райкома ВКП(б) и райисполкома.**

Подписная цена: на 1 месяц — 1 р. 50 к., на 3 месяца — 4 р. 50 к., на 6 месяцев — 9 р.

Адрес редакции: г. Иваново, ул. Ленина, № 7. Телефон № 712.

Подписка принимается в конторе газеты, а также у всех уполномоченных по подписке.

**Подписывайтесь на „Ударник“!**

# „Ударник“

(Орган Ивановского райкома ВКП(б) и райисполкома)

Выходит 8 раз в месяц, 6 раз в декаду. Цена отдельного номера 5 коп. Подписная цена: на 1 месяц — 1 р. 50 к., на 3 месяца — 4 р. 50 к., на 6 месяцев — 9 р.

Адрес редакции: г. Иваново, ул. Ленина, № 7. Телефон № 712.

Типография газеты „Ударник“, Иваново, ул. Ленина, № 7. Заказ 1. Тираж 17-03.

# Ударник

Орган Ивановского райкома ВКП(б) и райисполкома

Издается с 1 января 1931 года

Иваново, 9 января 1933 г. № 8 (712)

## ОБЪЯВЛЕНИЯ

**Открыта подписка на 1-е полугодие 1933 года на газету „Ударник“ — орган Ивановского райкома ВКП(б) и райисполкома.**

Подписная цена: на 1 месяц — 1 р. 50 к., на 3 месяца — 4 р. 50 к., на 6 месяцев — 9 р.

Адрес редакции: г. Иваново, ул. Ленина, № 7. Телефон № 712.

Подписка принимается в конторе газеты, а также у всех уполномоченных по подписке.

**Подписывайтесь на „Ударник“!**

# „Ударник“

(Орган Ивановского райкома ВКП(б) и райисполкома)

Выходит 8 раз в месяц, 6 раз в декаду. Цена отдельного номера 5 коп. Подписная цена: на 1 месяц — 1 р. 50 к., на 3 месяца — 4 р. 50 к., на 6 месяцев — 9 р.

Адрес редакции: г. Иваново, ул. Ленина, № 7. Телефон № 712.

Типография газеты „Ударник“, Иваново, ул. Ленина, № 7. Заказ 1. Тираж 17-03.

# Ударник

Орган Ивановского райкома ВКП(б) и райисполкома

Издается с 1 января 1931 года

Иваново, 9 января 1933 г. № 8 (712)

## ОБЪЯВЛЕНИЯ

**Открыта подписка на 1-е полугодие 1933 года на газету „Ударник“ — орган Ивановского райкома ВКП(б) и райисполкома.**

Подписная цена: на 1 месяц — 1 р. 50 к., на 3 месяца — 4 р. 50 к., на 6 месяцев — 9 р.

Адрес редакции: г. Иваново, ул. Ленина, № 7. Телефон № 712.

Подписка принимается в конторе газеты, а также у всех уполномоченных по подписке.

**Подписывайтесь на „Ударник“!**

# „Ударник“

(Орган Ивановского райкома ВКП(б) и райисполкома)

Выходит 8 раз в месяц, 6 раз в декаду. Цена отдельного номера 5 коп. Подписная цена: на 1 месяц — 1 р. 50 к., на 3 месяца — 4 р. 50 к., на 6 месяцев — 9 р.

Адрес редакции: г. Иваново, ул. Ленина, № 7. Телефон № 712.

Типография газеты „Ударник“, Иваново, ул. Ленина, № 7. Заказ 1. Тираж 17-03.